



თბილისის სააპელაციო სასამართლო  
სასამართლო სხდომის  
ოქმი

14 ნოემბერი, 2012 წელი

ქ. თბილისი

ადმინისტრაციულ საქმეთა პალატა  
შემადგენლობა  
სხდომის თავმჯდომარე – ნანა ჭიჭილეიშვილი  
მოსამართლეები - თეა მიმისტარაშვილი  
თეა თადაშვილი

სხდომის მდივანი – თეა ტიღინაშვილი

აპელანტი - ა.ა.ი.პ. „მწვანე ალტერნატივა“

წარმომადგენლები - ირაკლი მაჭარაშვილი, ირმა მახათაძე, ნინო გუჯარაიძე (აღმასრულებელი დირექტორი)

მოწინააღმდეგე მხარე - საქართველოს გარემოს დაცვის სამინისტრო

წარმომადგენლები - მამუკა ივანიაშვილი, ნანა ზამთარაძე

მესამე პირები - საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს ტექნიკური და სამშენებლო ზედამხედველობის სააგენტო, შ.პ.ს. „დარიალი ენერჯი“

წარმომადგენლები - დავით კუხიანიძე, ირაკლი ჟორჟოლიანი

დავის საგანი – ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილად ცნობა

გასაჩივრებული გადაწყვეტილება – თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2012 წლის 31 მაისის გადაწყვეტილება

სხდომა დაიწყო 11:10 საათზე.

სხდომა დამთავრდა 12:10 საათზე.

სხდომის თავმჯდომარე ხსნის სასამართლო სხდომას და აცხადებს განსახილველ საქმეს.

სხდომის თავმჯდომარე სიტყვას აძლევს სხდომის მდივანს პროცესის მზადყოფნის შესახებ მოსახსენებლად.

სხდომის მდივანი მოახსენებს:



პროცესზე მოწვეულ პირთაგან გამოცხადდნენ:

აპელანტი - ა.ა.ი.პ. „მწვანე ალტერნატივას“ აღმასრულებელი დირექტორი ნინო გუჯარაიძე (ამონაწერი საჯარო რეესტრიდან ერთვის საქმეს) მისი წარმომადგენლები - ირმა მახათაძე (რწმუნებულება ერთვის საქმეს, საადვოკატო საქმიანობის დამადასტურებელი მოწმობის №3354) და ირაკლი მაჭარაშვილი (მინდობილობა წარმოადგინა პროცესზე, რომელიც დაერთო საქმეს).

მოწინააღმდეგე მხარის - საქართველოს გარემოს დაცვის სამინისტროს წარმომადგენლები - მამუკა ივანიშვილი, ნანა ზამთარაძე (ბრძანება №-287 წარმომადგენლობითი უფლებამოსილების მინიჭების შესახებ, ერთვის საქმეს).

მესამე პირის - საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს ტექნიკური და სამშენებლო ზედამხედველობის სააგენტოს წარმომადგენელი - დავით კუხიანიძე (მინდობილობა ერთვის საქმეს)

მესამე პირის - შ.პ.ს. „დარიალი ენერჯის“ წარმომადგენელი - ირაკლი ჟორჯოლიანი (რწმუნებულება ერთვის საქმეს ტ. I, ს.ფ. 248).

სხდომის თავმჯდომარე არკვევს გამოცხადებულ პირთა ვინაობას, ამოწმებს წარმომადგენლის უფლებამოსილებას და სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 211-212-ე მუხლების შესაბამისად აფრთხილებს პროცესის მონაწილეებს და სხდომაზე დამსწრე პირებს წესრიგის დაცვის მიზნით მოსამართლის მითითების სავალდებულობისა და სასამართლო სხდომაზე წესრიგის დამრღვევის მიმართ შესაძლო ღონისძიებების გამოყენების თაობაზე, აცხადებს სასამართლო შემადგენლობას:

სხდომის თავმჯდომარე – ნანა ჭიჭილეიშვილი  
მოსამართლეები - თეა მიმისტარაშვილი  
თეა თადაშვილი

სხდომის მდივანი – თეა ტიღინაშვილი

სხდომის თავმჯდომარე ეკითხება მხარეებს აცილება ხომ არ აქვთ სასამართლო კოლეგიის ან სხდომის მდივნის მიმართ?

მხარეებს სასამართლო კოლეგიის და სხდომის მდივნის მიმართ აცილება არ აქვთ.

საქმის განხილვა გრძელდება მტიცებულებების გამოკვლევის ეტაპიდან:

სდომის თავმჯდომარის შეკითხვაზე: დავის საგანთან მიმართებაში, სასამართლოს აინტერესებს თქვენი პოზიცია საქართველოს მთავრობაში შეტანილ ადმინისტრაციულ საჩივრან დაკავშირებით;

აპელანტი - ა.ა.ი.პ. „მწვანე ალტერნატივას“ წარმომადგენელი - ირმა მახათაძე: ჩვენი სარჩელის ძირითადი მოთხოვნა იყო 2011 წლის 28 ნოემბრის ბრძანების ბათილად ცნობა. გთხოვთ გამოაცხადოთ შესვენება რათა ჩემს მარწმუნებელთან დავაზუსტო აღნიშნულ საკიხზე ჩვენი პოზიცია.

11:20 საათზე საქმეზე გამოცხადდა შესვენება.

11:25 საათზე განახლდა საქმის განხილვა.

აპელანტი - ა.ა.ი.პ. „მწვანე ალტერნატივას“ წარმომადგენელი - ირმა მახათაძე: საქართველოს მთავრობაში შეტანილ ადმინისტრაციულ საჩივარან დაკავშირებით ჩვენ პასუხი არ მიგვიღია, მთავრობაში უნდა მომხდარიყო ამ საჩივრის განხილვა. ადმინისტრაციული საჩივარი იმიტომ წარვადგინეთ მთავრობაში, რომ მიგვაჩნდა გასაჩივრებულ ადმინისტრაციულ აქტთან მიმართებაში მნიშვნელოვანი იყო და ერთჯერადი გასაჩივრების უფლება გამოვიყენეთ. ჩვენი სარჩელის ძირითადი მოთხოვნაა 2011 წლის 28 ნოემბრის ბრძანების ბათილად ცნობა.

მოსამართე თეა თადაშვილის შეკითხვაზე: ვის მიერ იქნა შედგენილი შ.პ.ს. „დარიალი ენერჯის“ მიერ გამოქვეყნებულ დარიალის ჰიდროელექტროსადგურის მშენებლობის და ექსპლუატაციის პროექტის ბუნებრივ და სოციალურ გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშზე შენიშვნები, ვინ აიღო ამაზე პასუხისმგებლობა?

აპელანტი - ა.ა.ი.პ. „მწვანე ალტერნატივას“ წარმომადგენელი - ირაკლი მაჭარაშვილი: შენიშვნები ჩვენს მიერ იყო შედგენილი, სპეციალისტებმა შევადგინეთ შენიშვნები, მე ვარ ბიოლოგი და ილია ჭავჭავაძის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტში ბუნებრივი რესურსების მართვის საკითხებს ვასწავლი და შესაბამისად სპეციალური ცოდნაც გამაჩნია.

მოსამართე თეა თადაშვილის შეკითხვაზე: ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნაში თქვენს მიერ წარდგენილი შენიშვნები გათვალისწინებული იყო?

აპელანტი - ა.ა.ი.პ. „მწვანე ალტერნატივას“ წარმომადგენელი - ნინო გუჯარაიძე: ჩვენ ზოგადად ვითხოვდით ნებართვის გაცემაზე უარის თქმას, რადგან იყო პრინციპული საკითხები და ეს პრინციპული საკითხები არ შეცვლილა.

აპელანტი - ა.ა.ი.პ. „მწვანე ალტერნატივას“ წარმომადგენელი - ირაკლი მაჭარაშვილი: ექსპერტიზის დასკვნა ეყრდნობა არასაკმარის კვლევებს და იმ კვლევებზე დაყრდნობით შეუძლებელი იყო სრულყოფილი დასკვნის შედგენა და დადებითი ეკოლოგიური ექსპერტიზის გაცემა. დასკვნაში პიდაპირ არის მითითებული წყლის ხარჯი საშუალო წლიური მონაცემები 1928-1948 წლების მონაცემებით, მაგრამ უკანასკნელი 25 წლის მონაცემი არ არსებობს. ჰესს აკეთებენ მდინარეში რომელშიც არ იციან რამდენი წყალია, მიუხედავად იმისა, რომ ბოლო ათწლეულების განმავლობაში მნიშვნელოვნად შეცვალა კლიმატი. ილია ჭავჭავაძის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის კვლევით დგინდება, რომ ყოველწლიურად მდინარე 16 სმ იკლებს. ასევე ძალიან მნიშვნელოვანია მდინარის ნატანის საკითხი, თუ ჰესის ასაშენებლად სჭირდებათ მდინარის 90% , 10% წყლის დარჩენის შემთხვევაში მდინარე ვერ წაიღებს ნატანს რომელიც გროვდება და ეკოლოგიური კატასტროფის წინაშე დააყენებს დაბა სტეფანწმინდას. ნატანის შესახებ დასკვნები ეფუძნება მხოლოდ 1928-1940 წლებში ჩატარებულ კვლევებს და დღეის მდგომარეობით ნატანის ოდენობა რამდენს შეადგენს ჩვენთვის ასევე უცნობია. მიმაჩნია, რომ დღეის მდგომარეობით უფრო მეტი ნატანი აქვს მდინარეს და მდინარის ოდენობის შემცირების შემთხვევაში წყლის გარეშე დარჩება ყაზბეგი. მდინარე თერგი არის წყალუხვი მდინარე და არასოდეს არ იყინება, როდესაც მდინარის 10% დარჩება იგი ზამთარში უცილობლად გაიყინება და შეცვლის არა მხოლოდ მდინარეში მცხოვრები ბიოლოგიური ორგანიზმების მდგომარეობას, არამედ მთელ ხეობაზე მოახდენს გავლენას და ცვლილებებს გამოიწვევს. აღნიშნული უცილობლად ეწინააღმდეგება გარემოს დაცვის შესახებ საქართველოს კანონს და ყველა იმ კანონს სადაც ცალსახად არის დაფიქსირებული, რომ არ შეიძლება ისეთი ქმედების განხორციელება რომელსაც შეუქცევადი გავლენის მოხდენა შეუძლია ბიოლოგიურ მრავალფეროვნებაზე.

სხდომის თავმჯდომარის შეკითხვაზე: თქვენი მოსაზრებები საერთოდ გამოირიცხავს მდინარე თერგზე ჰესის მშენებლობას?

აპელანტი - ა.ა.ი.პ. „მწვანე ალტერნატივას“ წარმომადგენელი - ირაკლი მაჭარაშვილი: სწორი კვლევის შემთხვევაში არ არის გამორიცხული ჰესის მშენებლობა, სხვა სანებართვო პირობების შემთხვევაში მაგალითად: მდინარის არა 10% არამედ 60% მაინც რომ დარჩენილიყო შესაძლებელი იყო ჰესის მშენებლობაზე ნებართვის გაცემა.

სხდომის თავმჯდომარის შეკითხვაზე: ამ შემთხვევაში პრობლემა არის ის, რომ ასეთი სიმძლავრის სადგური უნა აშენდეს?

აპელანტი - ა.ა.ი.პ. „მწვანე ალტერნატივას“ წარმომადგენელი - ირაკლი მაჭარაშვილი: ასეთი დონის კვლევებით ჰესის მშენებლობა და მდინარის 10% დარჩენის პირობებში შეუძლებელია ამ სიმძლავრის ჰესის მშენებლობა. ჩვენ შეტანილი გვაქვს განცხადება პროკურატურაში, რადგან სისხლის სამართლის დანაშაულის ნიშნები იკვეთება. რეალურად მუშაობა დაიწყო მანამდე სანამ ნებართვა გაიცემოდა. ასეთი სიმძლავრის ჰესის მშენებლობა ლანდშაფტის ცვლილებას გამოწვევს, მდინარიდან რომელიც დაცულ ტერიტორიაზე მდებარეობს ღელე და დარჩება, ეს გავლენას მოახდენს ეკოტურიზმით დაკავებული ადამიანების შემოსავალზე და სამუშაო ადგილებზე. საქართველოს მთავრობასა და დარიალ ენერჯს შროსრის 2011 წლის 19 მასის გაფორმებული ხელშეკრულების თანახმად, ჰესი ვალდებულია 6.5 აშშ ცენად მიაწოდოს ელექტოენერჯია ქვეყნის ენერგოსისტემას ზამთრის თვეებში, ეს არც ეკონომიკური თვალსაზრისით არ არის მისაღები.

მოსამართლე თეა თადაშვილის შეკითხვაზე: სადაო ადმინისტრაციული აქტის გამოცემისას თქვენს მიერ წარდგენილი შენიშვნები ცნობილი იყო მოწინააღმდეგე მხარისთვის?

აპელანტი - ა.ა.ი.პ. „მწვანე ალტერნატივას“ წარმომადგენელი - ნინო გუჯარაიძე: არა რადგან როდესაც შპს „დარიალ ენერჯიმ“ საჯარო განხილვისათვის გამოიტანა დარიალის ჰიდროელექტროსადგურის მშენებლობის და ექსპლუატაციის პროექტის ბუნებრივ და სოციალურ გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიში მნიშვნელოვნად განსხვავდებოდა, იმ ანგარიშისაგან რომელიც საბოლოოდ იყო სამინისტროში შეტანილი ნებართვის მისაღებად, მნიშვნელოვანი მომენტები იყო შეცვლილი და ამაზე საჯარო განხილვისას არ ყოფილა საუბარი. ერთერთი მნიშვნელოვანი დარღვევა იყო დაცული ტერიტორიის შემადგენლობაში არსებული ტერიტორიის გამოყენება ჰესის მშენებლობისთვის, თავდაპირველ პროექტში საუბარი იყო იმ პრობლემაზე რომ ჰესის მშენებლობა იგეგმებოდა დაცული ტერიტორიის ახლოს, არავინ არ ფიქრობდა, რომ ამ პრობლემის გადაწყვეტის მიზნით მოხდებოდა დაცული ტერიტორიაზე ჰესის მშენებლობა და ამის დამალვა მოხდა საზოგადოებისათვის. საქართველოს გარემოს დაცვის სამინისტრომ ვადაზე ადრე მიიღო გადაწყვეტილება და მთელი რიგი პროცედურული დარღვევებით გასცა ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნა.

აპელანტი - ა.ა.ი.პ. „მწვანე ალტერნატივას“ წარმომადგენელი - ირაკლი მაჭარაშვილი: ჩვენს მიერ წარდგენილი შენიშვნები სამინისტროს მხრიდან გათვალისწინებული არ ყოფილა და არც პასუხი გაუცია ვინმეს რატომ არ გაითვალისწინეს ჩვენი შენიშვნები.

მოსამართლე თეა თადაშვილის შეკითხვაზე: ეკოლოგიური ექსპერტიზის გაცემის ვადას რის მიხედვით აითვლით?



აპელანტი - ა.ა.ი.პ. „მწვანე ალტერნატივას“ წარმომადგენელი - ირმა მახათაძე: ტომი I, ს.ფ. 208 განთავსებული საქართველოს გარემოს დაცვის 2011 წლის 18 ნოემბრის წერილით, სამინისტრომ მიგვითითა, რომ ადმინისტრაციული წარმოება დაიწყო 2011 წლის 17 ნოემბერს და „დარიალის ჰიდროელექტროსადგურის“ გზშ-ს ანგარიშის ელექტრონული ვერსია ხელმისაწვდომი იყო ინტერნეტ მისამართზე [www.aarhus.ge](http://www.aarhus.ge) ან/და სამინისტროს ეკოლოგიური ექსპერტიზისა და ინსპექტირების დეპარტამენტში. ჩვენ აღნიშნულ საიტზე ვნახეთ გზშ-ს ანგარიში და ამ საიტზე მითითებული, იყო, რომ ადმინისტრაციული წარმოების ვადა 2 დეკემბრამდე იყო.

აპელანტი - ა.ა.ი.პ. „მწვანე ალტერნატივას“ წარმომადგენელი - ნინო გუჯარაძე: 2011 წლის 27 სექტემბრის წერილით საქართველოს გარემოს დაცვის სამინისტროდან ვითხოვდით ადმინისტრაციული წარმოების ვადების მითითებს და გზშ-ს ანგარიშს რაც სამინისტროში იყო წარდგენილი. 2011 წლის 18 ნოემბრის წერილით საქართველოს გარემოს დაცვის სამინისტრომ ვადა არ მიგვითითა და ვინაიდან ვადა ძალიან მცირე იყო, ვისარგებლეთ სამინისტროს მიერ მითითებული ინტერნეტ მისამართით [www.aarhus.ge](http://www.aarhus.ge) და იქედან ჩამოვტვირთეთ ინფორმაცია გზშ-ს ანგარიშის შესახებ. ტომი I, ს.ფ. 40 განთავსებული არის ამონაბეჭდი [www.aarhus.ge](http://www.aarhus.ge) საიტიდან, საიდანაც ჩანს, რომ ვებ გვერდზე მითითებული იყო ვადა ადმინისტრაციული წარმოების და ამ ვადით ვმოქმედებდით. მივიჩნიეთ, რომ 2011 წლის 02 დეკემბრამდე გვექონდა ვადა შენიშვნების წარსადგენად.

აპელანტი - ა.ა.ი.პ. „მწვანე ალტერნატივას“ წარმომადგენელი - ირმა მახათაძე: ეკოლოგიური ექსპერტიზის ჩატარების პროცედურის ვადა შეადგენს არანაკლებ 10 და არა უმეტეს 15 დღეს. თუ ადმინისტრაციული წარმოება დაიწყო 2011 წლის 17 ნოემბერს, 28 ნოემბერს ექსპერტიზის დასკვნის მიღება მათე დღეს გამოცემა და გულისხმობს იმას რომ აღნიშნული წესი დარღვეულია. საიტზე არსებული ინფორმაციიდან გამომდინარე, მიგვაჩნდა, რომ 2011 წლის 02 დეკემბრამდე გვექონდა ვადა შენიშვნების წარსადგენად და ჩვენს მიერ 2011 წლის 01 დეკემბერს შენიშვნები წარდგენილი იქნა სამინისტროში, მაგრამ გვაცნობეს, რომ 2011 წლის 28 ნოემბერს ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნა უკვე მიღებული იყო. ამდენად დაინტერესებული მხარეებისა და საზოგადოებისათვის არ იყო ცნობილი ის გზშ-ს ანგარიში რაც დამტკიცდა.

სხდომის თავმჯდომარე და მხარეებს თვალსაჩინოებისათვის წარედგინათ [www.aarhus.ge](http://www.aarhus.ge) საიტიდან ამობეჭდილი ინფორმაცია ადმინისტრაციული წარმოების ვადების თაობაზე.

მოსამართლე თეა თადაშვილის შეკითხვაზე: როგორი არის საქართველოს გარემოს დაცვის სამინისტროს პოზიცია აღნიშნულთან დაკავშირებით?

მოწინააღმდეგე მხარის - საქართველოს გარემოს დაცვის სამინისტროს წარმომადგენელი - ნანა ზამთარაძე: 2011 წლის 17 ნოემბერს საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულების ტექნიკური და სამშენებლო ინსპექციიდან, საქართველოს გარემოს დაცვის მინისტრის გაეგზავნა წერილი, რომლითაც ეცნობა, რომ საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულების ტექნიკურ და სამშენებლო ინსპექციაში დაწყებული იყო „დარიალ ჰესზე“ მშენებლობის ნებართვის გაცემის პროცედურა. საქმიანობს ახორციელებდა შპს „დარიალ ენერჯი“, წარმოდგენილი იყო „დარიალ ჰესის“ მშენებლობისა და ექსპლოატაციის პროექტზე ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნის მისაღებად საჭირო დოკუმენტაციის პაკეტი. შესაბამისად განეხილა მინისტრს აღნიშნული საკითხი და შესაძლებლობის შემთხვევაში გაეცა ეკოლოგიური

ექსპერტიზის დასკვნა. ამდენად საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის თანახმად ადმინისტრაციული წარმოების ვადის ათვლა დაიწყო 2011 წლის 18 ნოემბრიდან.

სხდომის თავმჯდომარის მიერ გამოქვეყნებული იქნა ტომი I, ს.ფ. 206-207 განთავსებული საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულების ტექნიკური და სამშენებლო ინსპექციის 2011 წლის 17 ნოემბრის წერილი.

მოწინააღმდეგე მხარის - საქართველოს გარემოს დაცვის სამინისტროს წარმომადგენელი - ნანა ზამთარაძე: აღნიშნული წერილის საფუძველზე 2011 წლის 22 ნოემბერს საქართველოს გარემოს დაცვის სამინისტროში შეიქმნა სპეციალური კომისია ეკოლოგიური ექსპერტიზის ჩატარების მიზნით. საქვეუწყებო კომისიას დაევალა საქვეუწყებო კომისიის წევრთა ცალკეული საქვეუწყებო დასკვნების შეჯერების საფუძველზე წარედგინა საქვეუწყებო კომისიის დასკვნა ამ ბრძანების ძალაში შესვლიდან 5 დღის ვადაში. კომისიის წევრებს 2011 წლის 22 ნოემბერის ბრძანება გაეცნოთ იმავე დღეს და ვადის ათვლა დაიწყო 2011 წლის 23 ნოემბრიდან, 2011 წლის 27 ნოემბერს სრულდებოდა ვადის ათვლა, მაგრამ რადგან დასვენების დღე იყო 27 ნოემბერი შესაბამისად დასკვნა დამტკიცებული იქნა 2011 წლის 28 ნოემბერს. მიგვაჩნია, რომ ადმინისტრაციული წარმოების პროცედურული ნაწილი სრულად არის დაცული და არანაკლებ 10 დღე შესაძლებელია 10 დღე იყოს.

მოსამართლე თეა თადაშვილის შეკითხვაზე: უფლებამოსილი პირები ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნის შედგენისას გაეცნენ ა.ა.ი.პ. „მწვანე ალტერნატივას“ მიერ წარდგენილ შენიშვნებს?

მოწინააღმდეგე მხარის - საქართველოს გარემოს დაცვის სამინისტროს წარმომადგენელი - ნანა ზამთარაძე: ამ გარემოების შესახებ ჩემთვის არ არის ცნობილი, მაგრამ ა.ა.ი.პ. „მწვანე ალტერნატივას“ მიერ 2011 წლის 15 ნოემბერს წარდგენილი შენიშვნების საქართველოს გარემოს დაცვის სამინისტროსათვის ცნობილი იყო და შესაბამისად 2011 წლის 30 ნოემბერს პასუხიც გაეცა სამინისტროს მიერ.

სააპელაციო პალატამ ადგილზე თათბირით  
დაადგინა:

- 1. საქმეზე გამოცხადდეს შესვენება და სხდომა გაგრძელდეს 2012 წლის 22 ნოემბერს 15.00 საათზე, მტკიცებულებათა გამოკვლევის ეტაპიდან.
- 2. საოქმო განჩინებაზე კერძო საჩივარი არ დაიშვება.

მხარეები (წარმომადგენლები) ხელწერილით გაფრთხილებულნი იქნენ იმის შესახებ, რომ სასამართლო სხდომა გაგრძელდება 22.11.2012წ. 15.00 საათზე.

სხდომის თავმჯდომარემ სხდომა დახურულად გამოაცხადა.

თავმჯდომარე:

ნანა ჭიჭილეიშვილი

სხდომის მდივანი:

თეა ტიღინაშვილი

